გამარჯვება შინ და გარეთ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 6 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 2:1 (0:0).

“დინამო”: გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ანდღულაძე, დარასელია, სვანაძე, ჯოხაძე (მუჯირი), კაკილაშვილი (მესხი), ცავა, შენგელია.

“ფახთაქორი”: იანოვსკი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი, დენისოვი (ბონდარენკო), პეტრუშინი, ისლამოვი, იაკუბიკი, ივანოვი, სემენკა (ნოვიკოვი), კაბაევი.

მსაჯი: ნ. კიზიაკოვი (ვორონეჟი).

გააფრთხილეს სვანაძე.

ტაშკენტელ ფეხბურთელთა ამბავი გულშემატკივრებმა კარგად იციან, მაგრამ საინტერესოა ერთი რამ: სანამ “ფახთაქორს” ის შეღავათი ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატში, რომ 3 წლის განმავლობაში შედეგის მიუხედავად არ დატოვებდა უმაღლეს ლიგას, გუნდი აუტსაიდერთა რიგებში იყო და შარშან ბოლო, მე–18 ადგილიც დაიკავა. მაგრამ განვლო ამ პერიოდმა და ტაშკენტელთა კოლექტივიც სულ სხვა ძალით ამოქმედდა. წლევანდელ ჩემპიონატში “ფახთაქორი” საუკეთესოდ თამაშობს, მესამე ადგილზეც იმყოფებოდა და არც ახლა აქვს ურიგოდ საქმე – კვალში მიყვება ლიდერთა ჯგუფს.

ამას გარდა, ყურადღებას იპყრობს მისი კაპიტნის ა. იაკუბიკის მაღალი შედეგიანობა. იაკუბიკი ერთ დროს მოსკოვის “დინამოში” გამოდიოდა, “ფახთქორშიც” კარგა ხანია თამაშობს და სნაიპერის ასეთი თვისებები არასოდეს გამოუჩენია. მართალია, იგი შარშანაც ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი იყო თავის გუნდში (გაიტანა 13 ბურთი), მაგრამ წლეულს გათამაშების დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, ა. იაკუბიკმა კი უკვე 21 გოლი გაიტანა კალენდარულ მატჩებში და დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის.

ამიტომ მატჩის მნახველებს აინტერესებდათ რაა “ფახთაქორის” ასეთი აღზევების მიზეზი და რა სნაიპერული თვისებები გააჩნია იაკუბიკს.

ტაშკენტელთა კაპიტანი გუშინდელ მატჩში ბევრს ცდილობდა, ერთთავად მოძრაობდა მთელ მინდორზე, ლამობდა ღია პოზიციაში მიეღო ბურთი, მაგრამ დინამოელები კოლექტიური წესით უწევდნენ წინააღმდეგობას მის მანევრებს, ამის შედეგად იაკუბიკმა რამდენადმე მაინც რეალური ხიფათი ვერ შეუქმნა მასპინძელთა კარს.

დინამოელებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ 45 წუთი ისე გავიდა, ბურთი არ გასულა. შესვენების შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო სწრაფად, ტემპიანად შეუტიეს, 59–ე წუთზე ცავას მიერ მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული კუთხურის დროს კარგად ითამაშა ჯოხაძემ და გახსნა ანგარიში – 1:0.

“ფახთაქორმა” მარცხს ძლიერი იერიშებით უპასუხა, ერთხანს მთლიანად ხელთ ჩაიგდო კიდეც უპირატესობა და 82–ე წუთზე ბონდარენკომ შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი გაბელიას კარში – 1:1.

თბილისელები ქულის დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ მდგომარეობა იხსნა მესხმა. მან 85–ე წუთზე შესანიშნავად ითამაშა – სწრაფად აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს, გავიდა მარცხენა ფრთაზე, მიაწოდა კარის წინ, სადაც ცავამ ზუსტად დაარტყა. 2:1 – გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 7 ოქტომბერი, 1982 წ.